

სექსუალური ძალადობა - გაუპატიურება და ფსიქიკური ჯანმრთელობის
პრობლემები საქართველოში მცხოვრებ ქალებში

ანა ჭიღარია

*სამაგისტრონაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების
ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნ
ების შესაბამისად*

პროგრამა „ფსიქიკური ჯანმრთელობა“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

სარჩევი.....	1
აბსტრაქტი	2
შესავალი.....	3
1.1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
2.1. კვლევის მიზანი.....	12
2.2. კვლევის მეთოდოლოგია.....	12
2.3. ჰიპოთეზა.....	15
3.1. შემთხვევათა ანალიზი.....	13
3.2. დასკვნა.....	40
გამოყენებული ლიტერატურა.....	44
დანართები	
დანართი 1: ბეკის დეპრესიის საკვლევი კითხვარი.....	47
დანართი 2: სპილბერგერის სიტუაციური შფოთვის საკვლევი კითხვარი.....	51
დანართი 3: სპილბერგერის პიროვნული შფოთვის საკვლევი კითხვარი.....	51
დანართი 4: პტსა-საკვლევი კითხვარი.....	52
დანართი 5: კვლევის მონაწილეთა საინფორმაციო ფურცელი.....	53
დანართი 6: კვლევის მონაწილის ინფორმირებული თანხმობის ფურცელი.....	56

აბსტარქტი

ნაშრომი ეძღვნება ინდივიდის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სექსუალური ძალადობის გამოცდილების ზეგავლენის შესწავლას, კვლევა კონცენტრირებული ასექსუალური ძალადობის უკიდურეს ფორმაზე - გაუპატიურებაზე, რომელიც შესაძლოა განხორციელებულ იქნას მეუღლის და/ან გრძელვადიანი პარტნიორის მიერ. კვლევა ეყრდნობა შემთხვევათა ანალიზის მეთოდს, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვეჩვენა მოვლენის ღრმა თვისებრივი მახასიათებლები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა მეპოვა კავშირი პარტნიორის მხრიდან გაუპატიურების გამოცდილებასა და გარკვეულ ფსიქიკურ აშლილობათა სპექტრთან, კონკრეტულად კი პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის, დეპრესიისა და შფოთვითი აშლილობების სიმპტომებთან, ასევე ძალადობასთან დაკავშირებულ სხვა სპეციფიკურ მოვლენებთან, როგორცაა დასწავლილი უმწეობა, ვიქტიმიზაცია, ბრალეულობის განცდა, სექსუალური ქცევის თავისებურებები, ბაზისური რწმენების ნგრევა, ოჯახში ძალადობის ციკლი, როგორც მოვლენა (როდესაც გაუპატიურება გვევლინება ოჯახური ძალადობის შემადგენელ კომპონენტად) და ა.შ.

კვლევამ დაადასტურა მონაწილეთა ფსიქიკური აშლილობების ფართო სპექტრი, რომელიც ვლინდება სპეციფიკური სიმპტომოკომპლექსით და პრობლემათა სპეციფიკური რეესტრით.

მთავარი საძიებო სიტყვები: გაუპატიურება, პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობა, დეპრესია, შფოთვითი აშლილობა, დასწავლილი უმწეობა, ბაზისური რწმენები, ტრავმული ბმა, ძალადობის ციკლი.